საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030163546796018

№ 01-91/მ **27 / აპრილი / 2018 წ.**

თამილა ბარკალაიას მივლინების გაგრძელების შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 51-ე და 66-ე მუხლებისა და „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 31 დეკემბრის N249 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ნ” ქვეპუნქტის შესაბამისად, ბელგიაში, ქალაქ ბრიუსელში, დაგეგმილ საქართველო-ევროკავშირის დიალოგის (HRD) რიგით მე-11 შეხვედრაში (ადამიანის უფლებების დაცვის საკითხები, ასევე, გათვალისწინებულია სიტყვით გამოსვლა ბავშვთა და შრომის უფლებების დაცვის საკითხებზე) მონაწილეობის მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. **თამილა ბარკალაიას** - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილეს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 18 აპრილის N01-81/მ ბრძანებით განსაზღვრული მივლინება, ბელგიაში, ქალაქ ბრიუსელში, გაუგრძელდეს ერთი დღის ვადით, 2018 წლის 27 აპრილს.

2. დაევალოს ეკონომიკურ დეპარტამენტს, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, აანაზღაუროს სადღეღამისო და სადღეღამისო ნორმის დანამატი.

საფუძველი: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის, სოფიკო ბელქანიას 2018 წლის 27 აპრილის № 01-9227 მოხსენებითი ბარათი და „თამილა ბარკალაიას მივლინების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 18 აპრილის N01-81/მ ბრძანება.

მინისტრი დავით სერგეენკო